

**მდინარე ტანას წყლიანობის თანამედროვე რეჟიმის შეფასება წყალსამეურნეო
გამოყენებისთვის**

თორნიკე ხოხონიშვილი

ელ-ფოსტა: tornike.xoxonishvili2013@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

საქართველო წყლის რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ მისი რესურსები არათანაბრადაა გადანაწილებული და გამოყენების მიმდინარე ტენდენციები გვაფიქრებინებს, რომ წყლის რაოდენობა, ხარისხი და ხელმისაწვდომობა ახლო მომავალში ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდება. ამასთან საქართველოში დღემდე არ არის დამკვიდრებული წყლის რესურსების სააუზო მართვის პრაქტიკა, საქართველოს წყლის რესურსების მართვაში არსებული პრობლემები მულტიდისციპლინურია და ეხება მთელ რიგ სექტორებს და დაინტერესებულ მხარეებს. ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, საქართველო ვალდებულია, მიუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროპულს მათ შორის გარემოს დაცვის სფეროში, ხოლო წყლის ჩარჩო დირექტივიდან უმთავრესია მდინარეთა აუზებში წყლის რესურსების გამოყენების სტრატეგიული დაგეგმვა.

წყლის რესურსების ეფექტური მართვისათვის შეფასებული გვაქვს მდინარე ტანას ჰიდროლოგიური რეჟიმი. კერძოდ განხილულია საშუალო წლიური ხარჯები, ჩამოდენის შიგაწლიური განაწილება, მაქსიმალური და მინიმალური ხარჯები, მყარი ნატანი და სხვა. ასევე წყლის რაოდენობრივ მახასიათებლებზე ბუნებრივი და ანტროპოგენური ფაქტორების ზეგავლენის მასშტაბები. წყლის რესურსების შეფასებულია ცალკეული ქვეაუზებისათვის და გაანგარიშებულია წყალმოხმხმარების სხვადასხვა სექტორისათვის (მოსახლეობა, ირიგაცია, ენერგეტიკა) წყლის რაოდენობრივი მახასიათებლები. ამგვარი მიდგომა წარმოადგენს ცდას აუზური მართვის შემთხვევაში შეფასდეს წყლის რესურსები და ოპტიმალურად მოხდეს მისი გადანაწილება წყალსამეურნეო კომპლექსის მონაწილეებს შორის.